RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ისწავლე, გახდი წარმატებული კურსდამთავრებული
და დასაქმდი გარანტირებულად!

პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2021

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

rtc.info2016@gmail.com 593 46 73 41 rtc.edu.ge

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შესახებ

ა(ა)იპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“ დაფუძნდა 2015 წელს.

მისი დამფუძნებლებია სს „საქართველოს რკინიგზა“, სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ა(ა)იპ ,,სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“ ავტორიზირებული დაწესებულებაა 6 წლის ვადით, ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებით.

კოლეჯმა წარმატებით განახორციელა ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსთვის“ MCA-Georgia მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი, ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის” (ISWD) რომლის ძირითადი მიზანს წარმოადგენდა: ,,პროფესიული სწავლების დუალური მეთოდის განვითარება სარკინიგზო დარგში და სარკინიგზო შრომის ბაზრის გაუმჯობესება“.

კოლეჯის პარტნიორები არიან: ,,Deutsche Bahn International“ GmbH, Germany და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ.

კოლეჯს ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზასთან, საქართველოს თავდაცვის აკადემიასთან, ა(ა)იპ საქართველოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ასოციაციასთან და შპს „უსაფრთხოების აკადემიასთან“. ხოლო პროფესიული სტუდენტების მობილობის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობის მიზნით კი საქართველოს ტექნიკურ უნვიერსიტეტთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან.

rtc.info2016@gmail.com 593 46 73 41 rtc.edu.ge

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისია

ა(ა)იპ სარკონოგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა, თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისთვის პირობების შექმნა.

კოლეჯის ხედვა

კოლეჯის ხედვაა, იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება რეგიონში, სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და თანამშრომელთა გუნდით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორობით

კოლეჯის ღირებულებები

კოლეჯის ღირებულებები და სამუშაო პრინციპებია:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე - ,,სწავლა კეთებით";
- დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება;
- თანამშრომლობითი ურთიერთობის, კომფორტული და ესთეტიკური სასწავლო გარემოს შეთავაზება;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლების კორპუსის შექმნა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსისა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია;
- მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, ინოვაციურობა და პროგრესულობა;
- მოქალაქეთათვის პროფესიული განვითარებისა და წარმატებული კარიერისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობა;

სასწავლო გარემო

კოლეჯი აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკული სწავლების სახელოსნოებით, ლოკომოტივისა და ელექტრომოძრავი შემადგენლობის თანამედროვე სიმულატორებით, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სასწავლო ტრენაჟორებით, სალიანდაგო სასწავლო პოლიგონით, თანამედროვე ტექნოლოგიებით.



rtc.info2016@gmail.com 593 46 73 41 rtc.edu.ge

rtc.info2016@gmail.com

593 46 73 41

rtc.edu.ge

ადამიანური რესურსის განვითარება

კოლეჯში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, 2019 წლის 9 სექტემბრიდან - 29 სექტემბრის ჩათვლით, ჩატარდა მენტორ-ინსტრუქტორთა ტრენინგი, რომელსაც წარუძღვნენ DB Training, Learning & Consulting-ის დუალური სწავლების მეთოდოლოგიის გამოცდილი ტრენერები.

პროფესიული განვითარების მიზნით კოლეჯში ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი პროგრამის დუალური მეთოდით სწავლებისთვის“.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კოლეჯის 25 პროფესიული განათლების მასწავლებლებელს ჩაუტარდათ პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კოლეჯის 20 პროფესიულ განათლების მასწავლებელს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის“.

rtc.info2016@gmail.com 593 46 73 41 rtc.edu.ge

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები



RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა
სწავლის ხანგრძლივობა 12 თვე

მეჩარხე, სწავლის
ხანგრძლივობა 16 თვე

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სარკინიგზო გადაზიდვები
(ინტეგრირებული)
სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი

სატვირთო გადაზიდვების
ლოგისტიკა (ინტეგრირებული)
სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი

რკინიგზის ელექტრომომარაგება
(ინტეგრირებული) სწავლის
ხანგრძლივობა 3 წელი

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები

ტექნიკური ნახაზების მხაზველი

მოძრაობის უსაფრთხოება
საკინიგზო ტრანსპორტზე

საოფისე საქმის წარმოება

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება
სამშენებლო და მომსახურების სფეროს
ორგანიზაციებისთვის

ტრანსპორტის ლოჯისტიკის სპეციალისტი

სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის
ლოკომოტივის მემანქანე

რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში / Basic Vocational Qualification in Road Construction

მიზანი

საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფა კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ რკინიგზების მშენებლობას, მომსახურებას, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვას, რემონტს, რეკონსტრუქციას, რეაბილიტაციასა და რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგს.

დაშვებისწინაპირობ/წინაპირობები

საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ საბაზო პროფესიული პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ისე, რომ რეალურ სამუშაოგარემოში სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი იქნება მიღწეული.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში / Basic VocationalQualification in Road Construction

მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფა კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ რკინიგზების მშენებლობას,მომსახურებას, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვას, რემონტს, რეკონსტრუქციას, რეაბილიტაციასა და რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგს.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

საბაზო განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან და ლიანდაგის მონიტორინგთან.

სწავლის ხანგრძლივობა: 20 თვე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია დამოუკიდებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ისე, რომ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი იქნება მიღწეული.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში// Secondary VocationalQualification in Electricity;

მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში და სხვა ნებისმიერორგანიზაციაში, რომელიც აღჭურვილია ელექტრული დანადგარებით, მოწყობილობით და ელექტროგადამცემი ხაზებით.

პროგრამის სტრუქტურა და
მოდულები

- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. 9 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 45 კრედიტის ოდენობით. ელექტროობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 70 კრედიტი.

სწავლის ხანგრძლივობა 22 თვე.

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის საშუალო პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულს უღიარდება საერთო პროფესიული და ზოგადი მოდულები, ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულის შესაბამისად.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია დამოუკიდებელი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ისე, რომ რეალურ სამუშაო გარემოში მიღწეული იქნება სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

კოლეჯმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, მოიპოვა პირსონის კვალიფიკაციის განხორციელების უფლება. პროგრამა მოიცავს 720 საათს, რომლის დასრულების შემდეგაც სტუდენტი მიიღებს ბრიტანული საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის (BTEC) მესამე დონის საერთაშორისო დიპლომს ელექტრულ/ელექტრონულ ინჟინერიაში. აღნიშნული კვალიფიკაცია აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, რაც საშუალებას აძლევს პირს დასაქმდეს საერთაშორისო ბაზარზე და ამასთანავე, გაუწიოს კონკურენცია ადგილობრივ კადრებს.

ლოკომოტივის მართვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,ლოკომოტივის მართვა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

• საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ლოკომოტივის მართვის სპეციალისტი სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები სრული

ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის,,ლოკომოტივის მართვა“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის რკინიგზაზე ლოკომოტივის მემანქანედ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

• საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები: საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ გავლის შემდეგ პირს შეუძლიადასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში, სალოკომოტივო დეპოსა და ელმავალ და ვაგონ მშენებელ ქარხანებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

სავაგონო მეურნეობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,სავაგონო მეურნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

• საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები: საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობის“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სავაგონო მეურნეობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

• საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/ Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები: საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ოპერირების ორგანიზაციებში სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

სარკინიგზო გადაზიდვები



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„სარკინიგზო გადაზიდვები“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

• საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/ Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები: საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარკინიგზიო გადაზიდვების“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო გადაზიდვებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება კომისიის წინაშე.

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:

• საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics.

მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრს, რომელმაც იცის სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები: ლოგისტიკაში საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში; სავაჭროშემსყიდველი და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუცორო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში; სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

მეჩარხე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„მეჩარხე“

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში/Basic vocational qualification in Metal Trades

მიზანი

პროგრამის მიზანია, ლითონის დამუშავების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადების უზრუნველყოფა. „ლითონის დამუშავების სპეციალისტი,“ს კონცენტრაცია - „მეჩარხე“-ს პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ ლითონდამამუშავებელი ჩარხების პროგრამულ მართვას, დეტალების დამუშავებას სახარატო, საფრეზი და სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე. სპეციალისტები ასევე აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა

საბაზო განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები: ლითონის დამუშავებაში საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, ,,მეჩარხე"-ს მიმართულებით შესაძლებელია დასაქმდეს მანქანათსაშენ საწარმოებში, აგრეთვე ისეთი დარგების საწარმოებში, როგორიცაა: კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგები, რომელთა საწარმოო პროცესებში გამოყენებულია მანქანა-დანადგარები, ლითონსაჭრელი ჩარხები. აგრეთვე, მეჩარხეს გააჩნია სამანქანათმშენებლო მიმართულებით თვითდასაქმების შესაძლებლობა.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ბუღალტრული აღრიცხვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„ბუღალტრული აღრიცხვა“

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:

• უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების შესაძლებლობები:

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

საოფისე საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

,,საოფისე საქმე“

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

• საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

მიზანი:

პროფესიული პროგრამის მიზანია, შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს საოფისე საქმიანობის მართვა. კერძოდ, მმართველობითი დოკუმენტების მომზადება, მიმოწერა სხვადასხვა საკითხებში, დოკუმენტების პროექტების მომზადების წესები, მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება, საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა და ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული საკითხები.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს ისეთი მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები:

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

სარკინიგზო გადაზიდვები (ინტეგრირებული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

,,სარკინიგზო გადაზიდვები“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

• საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/ Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება დანართი №1-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე. საბაზო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე.

დასაქმების შესაძლებლობები: საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარკინიგზიო გადაზიდვების" გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო გადაზიდვებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული)

პროგრამის სახელწოდება

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics (კვალიფიკაციის კოდი- 0413).

მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრს, რომელმაც იცის სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა;

მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიანპროფესიული დაზოგადი/ტრანსფერულიუნარებით.

დაშვების წინაპირობა

საბაზო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე.

დასაქმების შესაძლებლობები: ლოგისტიკაში საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში; სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუცორო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში; სასაწყობომეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

➢ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 49.4; 49.41; 49.41.0; 49.42; 49.42; 49.42.0; 51.2; 51.21; 51.21.0

➢ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3323.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობისუზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი - პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (ინტეგრირებული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Secondary Vocational Qualification in Electricity (კვალიფიკაციის კოდი - 0713)

მიზანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

დაშვების წინაპირობა საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში და სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც აღჭურვილია ელექტრული დანადგარებით, მოწყობილობით და ელექტროგადამცემი ხაზებით.

მოკლევადიანი პროფესიული მოზმადება/გადამზადების პროგრამები

ტექნიკური ნახაზების მხაზველი

პროგრამის სახელწოდება: ტექნიკური ნახაზების მხაზველი;

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება;

პროგრამის მიზნები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია არქიტექტურული, სამშენებლო და კონსტრუქციული ნახაზების აგების პროცესის აღწერა, ნახაზების რედაქტირება, ნახაზების ანოტირება, სახვადასხვა ტიპის ფაილის გამოყენება და საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა ,,AutoCad"-ის პროგრამის გამოყენებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. გეომეტრიული ფიგურების ორთოგონალური გეგმილების დახასიათება;
2. გეგმილური ნახაზის აგება;
3. ნახაზის აგების პროცესის აღწერა;
4. ნახაზის რედაქტირება;
5. ნახაზის ანოტირება, სტილების შექმნა;
6. ფაილებზე სხვადასხვა სახის მოქმედებები;
7. საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

პროგრამის მოკლე აღწერა: ტექნიკური ნახაზების მხაზველის ძირითადი მოვალეობაა შეასრულოს საინჟინრო ნახაზი და შეადგინოს საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაცია კომპიუტერული პროგრამა ,,AutoCad"-ის გამოყენებით.

მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე

პროგრამის სახელწოდება: “მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე”

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, 18 წელი, სს ,,საქართველოს რკინიგზის“ მოქმედი თანამშრომელი;

პროგრამის მიზნები: სს ,,საქართველოს რკინიგზის“ დასაქმებულთა გადამზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმები, შექმნას პირობები ჯანსაღი, უსაფრთხო და ღირსეული საქმიანობისთვის;

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;

2. სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

3. შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვა სამუშაო მოედანზე;

4. გარემოს დაცვითი ნორმების დაცვა;

5. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა;

6. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სცბ–ს მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოებისას;

7. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს;

8. შემადგენლობათა დაშლისა და სამანევრო მოძრაობათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გორაკის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას;

9. მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ორგანიზაციის განსაზღვრა სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით.

პროგრამის მოკლე აღწერა: წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 15 საათი, რაც ჯამში შეადგენს 150 საათს.

სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ნორმების დაცვის ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა რკინიგზელისთვის და შესაბამისად, გამოიკვეთა არსებული კადრების მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით გადამზადებისა და დამატებითი უნარების გამომუშავების საჭიროება.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შეძლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა. ასევე ეცოდინება პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მექანიზმები, სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური, შრომითი უსაფრთხოების, გარემოს დაცვითი და პროფესიული ეთიკის ნორმები, მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საოფისე საქმის წარმოება

პროგრამის სახელწოდება: საოფისე საქმის წარმოება;

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9 კვირა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზანი: მოამზადოს მსმენელი საოფისე საქმიანობაში კორესპონდენციის, რეესტრის, სარეგისტრაციო ჟურნალებისა და დოკუმენტბრუნვის წარმოებისთვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. აუცილებელი და დამატებითი რეკვიზიტების გაფორმება;
2. რეესტრის/სარეგისტრაციო ჟურნალის გაფორმება;
3. კორესპონდენციის წარმოება;
4. საინფორმაციო- საცნობარო დოკუმენტების შედგენა;
5. საკანონმდებლო აქტების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში;
6. საგანმკარგულებლო დოკუმენტების (ბრძანება, განკარგულება, ოქმი) პროექტების მომზადება.

პროგრამის მოკლე აღწერა: წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20 საათი, ჯამში 160 საათი.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი იქნება მომზადებული ოფისის საქმის წარმოების საკითხებში და შეძლებს საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს კორესპონდენცია, რეესტრი, სარეგისტრაციო ჟურნალები, დოკუმენტბრუნვა საკანონმდებლო აქტების გამოყენებით.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის

პროგრამის სახელწოდება: ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის;

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა: 8;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება.

პროგრამის მიზანი: მოამზადოს მსმენელი სამშენებლო და მომსახურების სფეროში მუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ბუღლატრული აღრიცხვის ელემენტების შინაარსისა და თავისებურებების ჩამოყალიბება;
2. ბუღალტრული დოკუმენტბრუნვის ორგანიზება;
3. პირველადი დოკუმენტების დახარისხება და ორგანიზაციის ანგარიშთა გეგმის შედგენა;
4. პირველად დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში;
5. სამშენებლო ორგანიზაციისთვის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება;

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება კერძო სამშენებლო და მომსახურების საწარმოების მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო ასახვა სპეციალურ საბუღალტრო პროგრამასა თუ მონაცემთა ბაზაში მუშაობა და საბოლოო დოკუმენტების შედგენა - გადაგზავნა.

სატრანსპორტო ლოჯისტიკის სპეციალისტი

პროგრამის სახელწოდება: სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი;

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება;

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრულო ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზანი: მსმენელს შეასწავლოს გადაზიდვის მართვის საკითხები, თანმხლები დოკუმენტაციის მომზადება/გადამოწმება და გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯების სპეციფიკა.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1.ტვირთის კლასიფიცირება;
2.ძირითადი საბაჟო პროცედურების დახასიათება;
3.შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების განმარტება;
4.გადაზიდვების მარშრუტის დაგეგმვა ოპტიმალური სატრანსპორტო საშუალებით;
5.გადაზიდვების შეთანხმების გაფორმება;
6.სასაწყობო დოკუმენტაციის წარმოება;
7.გადაზიდვების ტარიფის აღწერა.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება გადაზიდვების დაგეგმვა, გადაზიდვების მონიტორინგი, სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება და ლოგისტიკური დანახარჯების გამოთვლა.

სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე

პროგრამის სახელწოდება: სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება;

ხანგრძლივობა კვირებში: 14;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება, მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება სამრეწველო სარკინიგზო სფეროში.

პროგრამის მიზანი: გადაამზადოს სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანეები მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში, რომელიც უზრუნველყოფს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს დადგენილი წესების სრული დაცვით შესრულებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1.მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინსტრუქციებით დადგენილი მოთხოვნებითს შესრულებით,
2.სამუშო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო წესების, ელექტრო აპარატურის, დამხმარე მანქანების დათვალიერების წესების, ლოკომოტივის მიღებისა და ტექნიკური გამართულობის აღწერა;
3. ლოკომოტივის უსაფრთხოების სისტემების, სავალი ნაწილების, ელექტრო აპარატურის, დამხმარე მანქანების, სამუხრუჭე და სასილე მეურნეობის დათვალიერება;
4.უსაფრთხოების წესების აღწერა მატარებელთან ჩადგომა/გადამზადება/მოხსნისას;
5.გადაბმა/ახსნის სამუშაოების შესრულება;
6.ლოკომოტივის მართვის უსაფრთხოების წესების აღწერა;
7.ლოკომოტივის მართვა უსაფრთხოების წესების დაცვით;
8.ლოკომოტივის ჩაბარება;
9.მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის, კვანძებისა და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმება და აღწერა.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება ლოკომოტივის ტექნიკური დახასიათება, მათი უსაფრთხოების სისტემების, სავალი ნაწილის, ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების, სამუხრუჭე და სასილე მეურნეობის დათვალიერების წესის აღწერა, მატარებლის გადაბმა/ახსნის სამუშოების შესრულება, მოძრავი შემადგენლობის მართვა და ლოკომოტივის მიღება-ჩაბარება შესაბამისი ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, თემქა XI მკ.რ III კვ. ნაკვეთი 01/10;

info.rtc2016@gmail.com;

593-46-73-41;

rtc.edu.ge